

## ინფორმაცია მხარეებისთვის

### ბავშვთა საერთაშორისო მოტაცების სამოქალაქო ასპექტების შესახებ 1980 წლის 25 ოქტომბრის ჰააგას კონვენციით (შემდგომი - ჰააგას კონვენცია) გათვალისწინებული გატაცებული ბავშვის უკან დაბრუნების საქმეებში

ბავშვთა საერთაშორისო გატაცების საქმეებზე სასამართლო სასამართლოში მიმდინარე სამართალწარმოების პარალელურად გირჩევთ მედიაციაში მონაწილეობასაც.

საუბარია მცდელობაზე, რომ თქვენ, როგორც საქმეში მონაწილე მშობელს გაგეწიოთ პროფესიონალური დახმარება, თავად მოაგვაროთ თქვენი კონფლიქტი. უკვე მიმდინარე სამართალწარმოების ფარგლებში „ყველაფერი ან არაფერის“ რეჟიმში მიმდინარეობს მსჯელობა მხოლოდ იმ საკითხზე, უნდა დაბრუნდეს თუ არა თქვენი შვილი მის ჩვეულებრივ ადგილსამყოფელში. ამასთან, სასამართლო წარმოება ვერ მოიცავს ისეთ საკითხებს, როგორცაა, თქვენი შვილის აღზრდა-მეურვეობა და მასთან ურთიერთობა. მედიაციაში კი თქვენ გაქვთ შესაძლებლობა, წამოაყენოთ და დაასახელოთ ყველა ის საკითხი, რომელთა დაკავშირებითაც, თქვენი აზრით, შესაძლებელია გამოსავლის პოვნა. მედიაციაში სასამართლო პროცესთან შედარებით მეტი დროც გაქვთ ამისთვის.

სასამართლოს, თვისი დაკვირვებით და გამოცდილებიდან გამომდინარე მიაჩნია, რომ საქმეში მონაწილე მხარეებს შორის არსებული მაღალი დაძაბულობის მიუხედავად, ისინი მედიაციაში ხშირად პოულობენ გამოსავალს თავიანთი პრობლემებიდან. შესაძლებელი და შემამსუბუქებელი ეფექტის მქონე კონფლიქტის დამუშავება და აღმოფხვრა, მაგრამ ასევე პატარა „გამარჯვებებიც“, როცა მხარეებს შორის გვარდება პატარ-პატარა საკითხები. ამით ხდება გამარჯვებული-დამარცხებულის მოდელის თავიდან აცილება. ეს ყოველივე კი განტვირთავს თქვენს შვილს და ამსუბუქებს მის მდგომარეობას.

თქვენ ასევე არ უნდა ელოდოთ მედიაციის ფარგლებში გაჟღერებული ინფორმაციის რაიმე ფორმით ან ეტაპე გამოყენებას სასამართლო პროცესში, ვინაიდან, მედიაცია, ისევე, როგორც სასამართლო წარმოება, კონფიდენციალურია. სასამართლოს მხოლოდ იმ მოცულობით მიეწოდება ინფორმაცია მედიაციის თაობაზე, რა მოცულობითაც ეს სურთ მხარეებს.

მედიაცია არის ნებაყოფლობითი პროცესი, რომელიც მხოლოდ მაშინ იწყება, როცა ორივე მხარე გამონატავს თავის თანხმობას ამაზე. მედიაციის ხარჯების ანაზღაურება თავად მოგიწევთ. თუმცა, შეგახსენებთ, რომ საქმე ეხება თქვენი შვილის კელიდდებობას. თუმცა, ისიც უნდა აღინიშნოს, რომ მედიაციის გზით თქვენ აირიდებთ სხვა, დამატებით და ხარჯიან სასამართლო პროცესებს.

მედიაციასთან დაკავშირებით დამატებითი კითხვების შემთხვევაში, გთხოვთ, მოგვმართოთ შემდეგ მისამართებზე:

იუსტიციის ფედერალური სამსახური  
ცენტრალური ორგანო ბავშვზე  
მეურვეობასთან დაკავშირებულ  
საერთაშორისო კონფლიქტებზე

მესამე რეფერატი  
ქ-ნი ანგელიკა ლაუნეი,  
ბ-ნი ანდრეას ფოლზი  
ადენაურის ალეს N 99 - 103  
53113 ბონი  
ელ-ფოსტა: [int.sorgerecht@bfj.bund.de](mailto:int.sorgerecht@bfj.bund.de)  
ტელეფონი: +49 228 99 410 5212  
ტელეფაქსი: +49 228 99 410 5401  
ვებგვერდი: [www.bundesjustizamt.de](http://www.bundesjustizamt.de)

ან

MiKK e.V. - რეგისტრირებული კავშირი  
საერთაშორისო სამედიაციო ცენტრი  
საოჯახო კონფლიქტებისა და ბავშვთა  
გატაცების მიმართულებით  
ფაზანების ქუჩა 12  
10623 ბერლინი  
ელ-ფოსტა: [info@mikk-ev.de](mailto:info@mikk-ev.de)  
ტელეფონი: +49 30 74 78 78 79  
ტელეფაქსი: +49 30 74 78 78 80  
ვებ-გვერდი: [www.mikk-ev.de](http://www.mikk-ev.de)